აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი მიიღო



აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა 28 ოქტომბერს ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკინი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი სპიროს კაპრალოსი მიიღო.
ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა პატრიკ ჰიკიმ ალიევს პრეზიდენტად კიდევ ერთი ვადით არჩევა მიულოცა. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ იგი აზერბაიჯანში სწრაფი ეკონომიკური განვითარების პროცესების, სპორტული ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გაფართოების სფეროში დიდი საქმეების თვითმხილველია.